საქართველოს დედაქალაქის რუსულენოვანმა საზოგადოებამ პატივი მიაგო ცნობილი თანამემამულეების ხსოვნას

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 11.02.2024. 2024 წლის 8 თებერვალს, რუსი ქიმიკოსის, დიმიტრი მენდელეევის დაბადებიდან 190 წლისთავის დღეს, თბილისში, მის ძეგლთან, რომელიც საქართველოში ერთადერთია, პანაშვიდა შესრულდა. ღვთისმსახურების ბოლოს სიტყვით გამოსვლაში აღინიშნა, რომ მეცნიერის მემკვიდრეობა საერთო მონაპოვარია, ამიტომ არ შეიძლება საუბარი „რუსულ“ ან „ქართულ“ მეცნიერებაზე, არამედ ცოდნის საერთო საგანძურზე, რომელიც მთელ კაცობრიობას ეკუთვნის.

10 თებერვალს, ალექსანდრე პუშკინის ძეგლთან, რომლის გარდაცვალების თარიღი ამ დღეზე მოდის, დიდი პოეტის სულის საოხი პანაშვიდი ჩატარდა. პანაშვიდზე ასევე მოიხსენიეს ბორის პასტერნაკი, რომლის დაბადების დღეც ამ დღეს აღინიშნება. მონუმენტთან რუსულ და ქართულ ენებზე ორივე პოეტის ლექსები წაიკითხეს.

მოსახსენებელი ღვთისმსახურების ციკლი 11 თებერვალს დასრულდა რუსი დრამატურგის და დიპლომატის, ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავზე, რომელიც 195 წლის წინ თეირანში რუსეთის საელჩოს დაცვის დროს მოკლეს. პანაშვიდის შემდეგ მადლობა გადაუხადეს ღონისძიების ორგანიზატორებს და მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეების ხსოვნის პატივსაცემად მისულ საზოგადოებას.

ღვთისმსახურება აღასრულა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კლირიკოსმა, დეკანოზმა ვლადიმერ ალექსანდროვმა, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით წარგზავნილია საქართველოში, სადაც ის რუსულენოვან მორწმუნეებს სულიერად ასაზრდოებს (2018 წლის 14 მაისის წმინდა სინოდის სხდომის **ჟურნალი № 40**).

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91364/